კომპოზიტური მასალები COMPOSITE MATERIALS

№ 33/1 "13" აგვისტოს 2020 წ.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის
მინისტრს ბატონ ლევან დავითაშვილს

ბატონო ლევან,

შპს ,,კომპოზიტური მასალები'', გარდაბნის მუნიციპალიტეტში, შპს „მტკვარი ენერჯი"-ს საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე, გეგმავს კომპოზიტური პლაკირებული ფხვნილების მცირე საწარმოს მოწყობას და ექსპლუატაციას.

დაგეგმილი საქმიანობა ითვალისწინებს, ავტოკლავში (ჰერმეტულად დახურულ რეაქტორში), მაღალი წნევის პირობებში, მეტალების კონცენტრატებიდან ქიმიური რეაგენტების წყალხსნარების საშუალებით, წყალხსნარებიდან ლითონების გამოყოფას და კომპოზიტური პლაკირებული ფხვნილების წარმოებას.

აღნიშნული საქმიანობა, განეკუთვნება ჰიდრომეტალურგიულ დარგს და „ფეროშენადნობთა წარმოების უსაფრთხოების წესების" მე-2 მუხლის „მ" ქვეპუნქტის მიხედვით არის ლითონების ამოღება მადნების, კონცენტრატებისა და სხვადასხვა წარმოების ნარჩენებიდან, ქიმიური რეაგენტების წყალხსნარების საშუალებით წყალხსნარებიდან ლითონების შემდგომი გამოყოფით".

ჩვენს მიერ დაგეგმილი საქმიანობა, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს N5252/01; 09.06.2020 წერილის თანახმად დაექვემდებარა სკრინინგის პროცედურას, ხოლო სკრინინგის განცხადებაზე (სკრინინგის ანგარიშზე), 2020 წლის 7 აგვისტოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მიერ გაცემული N2-699 ბრძანების პირველი პუნქტის თანახმად დაექვემდებარა გზშ-ის პროცედურას.

ზემოაღნიშნული ბრძანების მე-2 პუნქტის გათვალისწინებით, სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, წარმოგიდგენთ შუალედური პროდუქტის საშუალებით მეტალურგიული ფხვნილების წარმოების (კომპოზიტური პლაკირებული ფხვნილების მცირე საწარმო) საწარმოს სკოპინგის ანგარიშს.

დანართი:

1. შუალედური პროდუქტის საშუალებით მეტალურგიული ფხვნილების წარმოების (კომპოზიტური პლაკირებული ფხვნილების მცირე საწარმო) საწარმოს სკოპინგის ანგარიში - 1 ეგზემპლარი ნაბეჭდი ვერსია;
2. ზემოაღნიშნული სკოპინგის ანგარიშის ელ ვერსია და საწარმოს განთავსების GIS კოორდინატები shp ფაილების სახით - 1CD.

პატივისცემით,

მალხაზ იასეშვილი

დირექტორი

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო № 12806 "13" 08 2020 1/18 ფ.

საქართველო, ქ. გარდაბანი 1300, დ. აღმაშენებლის ქ. 2ა; D. AGMASHENEBELI STR. 2A, GARDABANI, 1300 GEORGIA
TEL.: +995 577 517 751